საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 04/899
12.06.2026

ბრძანება

899-01-4-202606121423

გიორგი ძაძამიას (პ/ნ) 2026 წლის 02 მარტის №01/1950 საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 17^1 მუხლის მე-4 პუნქტის და „საჩივრის ფორმის, მისი წარდგენის წესის და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურისა და ვადების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №38 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. განუხილველად იქნეს დატოვებული გიორგი ძაძამიას (პ/ნ) 2026 წლის 02 მარტის №01/1950 საჩივარი.
2. საჩივრის განუხილველად დატოვება არ ართმევს პირს უფლებას, მომართოს საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს იმავე დავის საგანზე, იმავე საფუძვლით საკითხის შესწავლის მოთხოვნით.
3. წინამდებარე ბრძანება ეცნობოს მომჩივან მხარეს.
4. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წინამდებარე აქტის ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).
5. ბრძანება მისი მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში გამოქვეყნდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.
6. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის 2026 წლის 05 მაისის №03/766 მოხსენებითი ბარათი.

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე